„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი.

მმართველობა ქართული დრამატიული საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ ამა თიბათვის 14, საღამოს 7 საათზედ, წერა-კითხვის საზოგადოების სადგომში გამართული იქმნება საზოგადო კრება ანგარიშის მოსასმენად და ახალის მმართველობის ამოსარჩევად.

თავმჯდომარის მაგიერი
თ. რაფ. ერისთავი.
(3—2)

## საბანკო დავიდარაბა
### გაზეთების ფურცლებზედ.

თბილისი, ივნისის 9-ს.

გუშინ დავპირდით ჩვენს მკითხველებს Ილია ჭავჭავაძის პასუხის გაცნობას, რომელშიაც იგი სათითაოდ სინჯავს თ. ნ. ამატუნისაგან წარმოდგენილ საბუთებს, ვითომ სომხობის დევნისას Თბილისის სადგილ-მამულო ბანკში და სათითაოდვე აძლევს პასუხს. Ილია ჭავჭავაძე დოკუმენტებით უმტკიცებს თ. ამატუნს, რომ ეს დევნა მისის ოცნების ნაყოფია და არცარა არის სადევნელი, რადგან Თბილისის სადგილ-მამულო ბანკი Თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან დაარსებულია და ყოველთვის მათსავე კუთვნილებას უნდა შეადგენდეს, ვინც უნდა იყვნენ ამ ბანკის მესხებელნი და რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდენ იგინი. Თ. ნ. ამატუნისაგან წარმოდგენილი საბუთი დევნისა, ვითომ 1882 წლის კრებას მიეღოს აზრი, რომ ყოველს თავადსა და აზნაურს ნება ჰქონდეს დამფუძნებელ წევრად გახდომისა, თუ ბანკის კასაში ხუთ მანათს წარადგენს, გამოდგა სრულიად უსაფუძვლო და შეთხზული თვით თ. ნ. ამატუნისაგანვე. Ილია ჭავჭავაძის სიტყვით, 1882 წლის ბანკის კრებამ არა თუ არ გააადვილა დამფუძნებელ წევრად გახდომა, უფრო გააძნელა უწინდელ პირობებთან შედარებით, ე. ი. ამ კრებამ მიიღო 1878 წლის კრებაზედ დამტკიცებული აზრი, რომ ყოველმა თავადმა და აზნაურმა, ბანკის წევრად გახდომის მსურველმა, შემოიტანოს მეოცედი იმისი, რაც გლეხ-კაცების განთავისუფლების დროს აუღია და შემოიტანოს ერთბაშად და არა უწინდებულად ნაწილ-ნაწილ. რაც შეეხება იმათ, რომელთაც გლეხ-კაცები არა ჰყოლიათ, იმათ უნდა შემოიტანონ ის, რასაც ზედამხედველი კომიტეტი შეძლების კვალობაზედ დაუნიშნავს.

სად არიან ხუთ-მანათიანი წევრები, ან რომელ ბანკის „მოსაქმეს“ ჩამოჰყავს ისინი თავის საქმის მოსაგვარებლად, როგორცა ბძანებს ბ. ამატუნი,—ჩვენ არ ვიცით. Ეს, ალბად, თითონ თ. ამატუნმა უნდა იცოდეს, რადგან ამისთანა საქმეებში ის უფრო დახელოვნებულია.

რაც შეეხება ნდობის ქაღალდების მიუღებლობას, რომელნიც მსესხებელ წევრისაგან, ან მსესხებელ წევრისადმი არიან მიცემულნი, ამაზედ Ი. ჭავჭავაძის სიტყვით პირდაპირი გადაწყვეტილებაა საზოგადო კრებისა და ვიდრე ეს გარდაწყვეტილება არ მოიშლება, რასაკვირველია, უნდა შესრულებულ იქმნას. Ამას გარდა, მსესხებლების რიცხვში მარტო სომხები არ ურევიან და არც $^{9}/_{10}$-ს შეადგენენ, როგორცა ბძანებს ბ. ამატუნი, და საზოგადო კრების გარდაწყვეტილება ნდობის ქაღალდების მიუღებლობაზედ შეეხებოდა ყველა მსესხებლებს, როგორც სომხებს, ისე რუსებს, ისე ქართველებს. Მაგრამ ყველაზედ შესანიშნავია მესამე საბუთი თ. ნ. ამატუნისა, რომელზედაც ჩვენც მივცემთ ჩვენს თავს ნებას ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ: თ. ნ. ამატუნი გაუცხარებია იმ გარემოებას, რომ სადგილ-მამულო ბანკის შარშანწინდელმა საზოგადო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრთან, რათა ბანკის ნაღდი მოგების განაწილება საზოგადო საჭიროებისათვის მიწის-მფლობელთა და მიწის-მუშაკთა, მინდობილი ჰქონდეს მარტო ამ ბანკის დამფუძნებელ წევრთა. Ეს გარდაწყვეტილება თ. ამატუნს მიაჩნია მსესხებელ წევრთა უსამართლო ჩაგვრად, მაგრამ რაც თ. ამატუნს უსამართლოდ ეჩვენება, შეიძლება ძალიან სამართლიანი იყოს და პირ-იქით სამართლიანი და მოსაწონი თ. ამატუნისათვის, შეიძლება უმრავლესობამ უსამართლოდაც დაინახოს და დასაწუნადაც.

Აი თუნდ ამ მაგალითზედ შეიძლება გაისინჯოს, თუ როგორ უმიზეზოდ შეუწუხებია თ. ამატუნი სრულიად სამართლიანს და კანონიერს მოთხოვნილებას საზოგადო კრებისას: ყველამ იცის, რომ სადგილ-მამულო ბანკი Თბილისის თავად-აზნაურთაგან არის დაფუძნებული სხვათა შორის იმ განძრახვითაც, რომ მისი ნაღდი მოგება მოხმარდეს საზოგადო საჭიროებას მიწის-პატრონთა და მიწის-მოქმედთა. Ამ უკანასკნელ გარემოებისათვის, როგორც შენიშნა აგრეთვე Ილ. ჭავჭავაძემ თავის წერილში, თ. ამატუნს არ მიუქცევია ყურადღება,—არ ვიცით განგებ, თუ დაუდევრობით—და სწყრება, რომ საზოგადო საჭიროებისათვის (ვისის საზოგადო საჭიროებისათვის თ. ამატუნო?) დანიშნული ფულის მოხმარების ნება არ უნდათ მისცენ მსესხებელ წევრთაო. Აზირებულია, თქვენმა მზემ, მე ჩემი საჭიროებისათვის სახლი ავაშენო, მინდოდეს მისი შემოსავალი ჩემს ნებაზედ მოვიხმარო და მდგმურები კი ამიხირდენ—შემოსავალში ჩვენც წილი გვაქვს, რადგან, თუ სახლი დაინგრა, ან დაიწვა, ჩვენი ქონებაც დაილუპებაო. Იქნება, ისა სთქვას თ. ამატუნმა, რომ მსესხებელნი თავიანთ დაგირავებული მამულით პასუხის-მგებელნი არიან, თუ ბანკმა ზარალი ჰქნა, და დამფუძნებელ წევრთაგან შეტანილი თავნი არ ეყოო,—მაგრამ ამასაც მნიშვნელობა არა აქვს-რა. Ამ გვარივე მაგალითი გვერდითა აქვს თ. ამატუნს. Თბილისის კომერციული ბანკი, აქციონერებისაგან არის დაარსებული და სრულ მოგებას აქციონერებივე იღებენ ჯიბეში, ხანდისხან 16—17%, მაგრამ ფულის მიმბარებელნი კი, რომელთა კაპიტალი უმთავრესი ქვა-კუთხედია კომერციულ ბანკის წარმოებაში, იღებენ მხოლოდ 4—5%-ს. Თუ ამ ბანკმა ზარალი ჰქნა და აქციონერების თავნი არ ეყო, რასაკვირველია, მიმბარებელნი მიბარებული ფულიდამ ბევრს ველარას გამოიტანენ.

Თუ კი აქციონერებს ნება აქვთ სრული მოგება კომერციული ბანკი-...

«დროების» ფელეტონი ივნისის 9-ს.

## ხმა რაჭიდამ.

Ამ წლის „დროების“ მე-8 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი თ. ძ. გელოვანისა დაბა Ონის და მასში მომწყვდეულ თანამდებობის პირთა შესახებ, რომლის საშუალებით გამოაშკარავებულ და ყველასაგან დანახულ იქმნა სხვა-და-სხვა პირების ათას-ნაირი მოზღვავებული ბოროტ-მოქმედება. Ეს თუმცა ჩვენთვის, რაჭის მაზრის მცხოვრებლებისათვის, არ შეადგენს გაუგებარს საიდუმლოს და ყველასაგან ცნობილი იყო, მაგრამ იმათთვის, რომლებიც თავისუფალნი ყოფილან სამსახურისგან, არ ჰქონიათ მათთან საქმე, კავშირი და ცნობა, რასაკვირველია, თუ არ ბეჭდვის საშუალებით, ყოველივე დაშთებოდა გაუგებრად. Მე ამ შემთხვევაში არ მინდა გრძლად და ვრცლად განვუმარტო მკითხველს აქაური ესრედ თვით-მოწოდებული პატიოსანი პირების მოქმედება,—უამისოდაც საქვეყნოდ იყო გამოფენილი თ. გელოვანისაგან ხსენებულ წერილში; მხოლოდ მოკლედ მინდა მოვახსენო მკითხველს შემდეგი:

როდესაც ზემოხსენებული გელოვანის წერილი გამოვიდა ბეჭდში, არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ჩვენ იმ აზრის თანაგრძნობასთან, სიამოვნებაც არ გვწვეოდეს, და თუმცა კაცს წესიერი, ადამიანური მოვალეობის ასრულებისათვის მადლობა არ ეთქმის, მაგრამ მაინც ეს განვიზრახეთ. Მოუთმენელად მოველოდით რომელიმე იმ პირთაგან, რომელთაც გელოვანისაგან ნასროლი ისარი ნემსივით გულს უჩხვლეტდა, პასუხი ეგოთ რამ და ბოლოს, როგორც იქმნა „დროების“ ფურცლებზე ახალის სისტემის იარაღებით შეჭურვილმა რაინდმა, ბ. Წ—ძემ ამოჰყო თავი. Ერთის შეხედვით, ერთის თვალის გადავლებით ეს ვაჟბატონი ის უმანკო ძველი თავგანწირული ქართველია, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნად მამულის სიყვარულის, მისი კეთილ-დღეობის და უანგარო სამსახურის მეტი არა ჰქონია-რა, მაგრამ, როდესაც დაკვირვებულის თვალით გასჩხრეკ, ეს სურათი, ბატონო მკითხველო, ისე ქარწყლდება და დნება, როგორც მზის სხივისაგან ყინული, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ბნელს ღამეში შორიდამ მნათი მიახლოვების დროს ფუტურო. Მე, როგორც ერთს მკითხველთაგანს, რომელიც თვალ-ყურს ვადევნებდი მათს საკამათო გამოლაპარაკებას და თანაც ანგარიშის მექონს გულის შემატკივრობით, როგორც აქაურს მცხოვრებს, არ შემიძლიან არ მოვახსენო ბ. Წ—ძეს მხოლოდ ერთის საგნის შესახებ ე. ი. იმაზედ რომ ბ. Წ—ძეს, მკითხველო, უკადრნია და გადაუფიცავს ერთ-ბაშად ერთს გზობაზედ ორის და სამის და ხან მეტის ერთსა და იმავე სოფელში პრაგონის და ხვედრი ქირის აღება. Არ ვიცით, რა დავარქვათ ამ უარ-ყოფას, ეს უარის-ყოფა და, როგორც იტყვიან, რუსული შარი წარმოგვიდგენს ნამდვილს სურათს, სწორედ გარეგანის სამკაულით სპეტაკად შემოსილის სადიაცო სახლიდამ გამოსულის ადამიანის პასუხსა.

მართლა რაჭის საზოგადოება, ვისაც კი ყურში ჩასწვეთია რამ, გააკვირვა ამ გადაფიცვამ, უმეტესად საწყალი გლეხ-კაცობა. საზიზღარი უნდა იყოს მისი სიტყვების გაგონება იმ მკითხველებისათვის, რომელნიც ამ შემთხვევაში მისი, ბ. Წ—ძის, მოქმედების მოწამენი ყოფილან. რა დამტკიცება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა თავიანთ საჭიროებისათვის მოიხმარონ, საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება ნაღდი მოგება ამ ბანკისა მოიხმარონ საზოგადო საჭიროებისათვის?

თ. ამატუნის აჲკა ქალაქის მესხებლებზედ იქამდის მიდის, რომ ციფირებსაც კი აღარა ჰზოგავს და თამამადა ბძანებს—$^{9}/_{10}$ მესხებლებისა სათავად-აზნაურო ბანკიდამ სომხობაა და ამ შენიშვნით მე მინდა მივაქციო ყურადღება იმაზედ, თუ საზოგადო კრება როგორა სდევნის სომხობასაო. მაგრამ, როგორც თ. ჭავჭავაძის წერილიდამა სჩანს, 203 წევრ-მესხებელში მხოლოდ 85 ყოფილა სომეხი. რომელი არითმეტიკა გედოთ წინ, თ. ამატუნო, როდესაც 85-ს შედარებით 203-თან ცხრა მეათედად ანგარიშობდით? ან საკადრისია, რომ ის პირი, რომელიც საკრედიტო დაწესებულებას თავ-მჯდომარეობს, ასე უცერემონიოდ ეპყრობოდეს ციფირებს! მაგრამ ეს თ. ამატუნისათვის გასაკვირველი არ არის, რადგან იმან ისეთი სასწაული იცის, რომ შეუძლიან ერთი ასად გადააქციოს და როდესაც რომელიმე დაწესებულება 136 მან. და 40 კაპეიკზედ მეტ მოგებას არ იძლევა, მის გამგეობას შვიდას თუმნობით უხილავი ციფირებიდამ ჯამაგირი მოუმატოს (იხილე წლევანდელი ბალანსი და საზოგადო კრების ანგარიში ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა).

ძველთაგან თქმული ანდაზა—რაც კაცი თითონ არის, სხვებიც იმისთანა ჰგონიაო—მშვენივრად მართლდება თ. ნ. ამატუნის მაგალითზედ. ორმოცი კაცი შეჰყარა, თითოს სამ-სამი ხმა მისცა; თავისი და თავის ამხანაგების ჯამაგირები ერთი ორად გაიხადა და სხვებს კი აყვედრის—ხუთ-მანათიანი(?) წევრები ჩამოგყავთ და რაც გინდათ, იმას ჩადიხართო. მისგან განგებულ ბანკმა ზარშან 136 მან. 40 კაპეიკზე მეტი არ მისცა ნაღდი მოგება; მიუხედავად ამისა შვიდას თუმნობით ჯამაგირი მოამატებინა და ამავე დროს უხარბიელო რაინდსავით გამოვიდა იმ მესხებლების გამოსასარჩლებლად, რომელთა ცხვრის ფარასავით გარეკა და თუნდ კლდეზედ გადჩეხა ცოდვად არ მიაჩნია.

ნუ თუ ნება არა აქვთ ტფილისის საადგილმამულო ბანკის მესხებლებს სთქვან, შორს ჩვენგან ამისთანა მოსარჩლე და კეთილის-მყოფელიო!

---

## შინაური ქრონიკა

== ჩვენ მივიღეთ მშვენივრად და სუფთად დაბეჭდილი პირველი ტომი იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის ქადაგებათა. ჩვენ, მწიგნობრობაში ამისთანა ზორბა და მადიანი წიგნი იშვიათად შეხვდება მკითხველს. ტომი შეიცავს 584 გვერდს. ეს მესამე გამოცემაა ამ წიგნისა. ამ ტომშია მოყოლებული მოძღვრებანი და ქადაგებანი, თქმულნი 1860—1870 წელთ შორის ჩვენის პატივცემულის და ღირსეულის მღვდელ-მთავრის მიერ. ღირსება ამ ქადაგებათა კარგად იცის ყველამ, ვისაც კი ჩვენი სასულიერო ლიტერატურის მდგომარეობისათვის ცოტათი მაინც ყურადღება მიუქცევია. ბევრს გაეგონება აგრეთვე, რომ ეს ქადაგებანი ინგლისურს ენაზედაც არიან გადათარგმნილნი. გაბრიელის ქადაგებათა და მოძღვრებათა ენა მარტივი და მდაბიური ენაა, ხალხისთვის ადვილად გასაგები. შინაარსი მოშორებულია ყოველგვარ ურომელო და მშრალს მეტაფიზიკურს მსჯელობას მაღალ საგნებზე. პირ-იქით მხოლოდ ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ცუდი ზნენი, ჩვენი განუვითარებლობა, ზნეობრივი უსუფთაობა, ცუდი და დამღუპველი ჩვეულებანი, მამა-პაპათა მაგალითის დავიწყება, წარსული გმირობა და თავ-გამოდება წმინდა და საქებური ზნეობრივი ცხოვრებისათვის, ქვეყნის შენებისათვის, ეკლესიების და მონასტრების აგებისათვის, რომელნიც მასთან სკოლებიც იყვნენ ხალხისათვის—აი პირდაპირი საგანი გაბრიელის ქადაგებათა. ამით აიხსნება, რომ ჩვენ, ლიტერატურაში ასე მიღებულია ეს წიგნი, რომ მკითხველ საზოგადოებასაც უყვარს, როგორც საგულისხმიერო, სასარგებლო და გამოსადეგი საკითხავი მასალა.

უნდა ვისურვოთ, რომ არა თუ მესამე, მეათე და მეთხუთმეტე გამოცემა დაგვჭირდეს ამ წიგნისა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ გონიერულ ქადაგებათა ერთად ერთს კრებულს ეხლანდელ სამოძღვრებო ლიტერატურაში და უხვად და ხშირად ისარგებლოს მით ხალხისა და ერის ზნეობრივ და გონებრივ წურთვნის დროს.

== კახეთიდამ გვატყობინებენ, რომ ალაზანს გაღმა პურის მოსავალი წელს კარგიაო, მაგრამ სიცივემ ახალი ვაზი კი დასძრა და გაახმოვო. აგრეთვე გააფუჭა ლობიო და სხვა ნორჩი მცენარეო. დაზარალებულა მეტადრე ის ვენახები, რომლებიც ალაზანს ახლო არიან გაშენებულნი და რომელთაც თოვლიანი მთების სუსხი უფრო ძლიერა სცემს; მაგ. ახალ-გავაზში, ზეგანში, ფაშაანში და ტურის-ციხეში დაუძრავს ახალიც და ძველი ვაზიცა.

== «ახალ მიმოხილ.» შეუტყვია, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებისაგან არჩეულს კომისიას ადგილ-მამულის გამიჯვნის საქმის გამოსარკვევლად და შესამუშავებლად ამ დღეებში მიუყვია ხელი თავის მოვალეობის შესრულებისათვისის. იგი წარუდგენს თავის პროექტს მომავალს წელს გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგ კრებას.

== «მოსკ. უწყებების» სიტყვით, ფინანსთა მინისტრს გადაუწყვეტია, რომ პირველ სამს შაქრის ქარხანას ქარხლისას, რომელნიც გამართულნი იქნებიან თურქესტანში, ციმბირში და ამიერ-კავკასიაში, მიეცეთ შეღავათი აქციზის გადებაში 9 წლის განმავლობაში, აგრეთვე მიეცეთ იგივე შეღავათი 6 წლის განმავლობაში იმ ქარხანებს, რომელნიც ჩრდილოეთ-კავკასიაში იქნებიან დამართულნი. ეს ლონის-ძიება ფინანსთა მინისტრს მიუღია, რასაკვირველია, ამ წარმოების წასაქეზებლად.

---

## «დროების» კორესპონდენცია

ქუთაისი, ივნისის 7-ს. კომისიამ თავად-აზნაურთა კრებისამ ერთი დღის განმავლობაში გაათავა საქმე და წარმოადგინა თავისი მოსაზრებანი. ჩვენ წინ-და-წინვე ვგრძნობდით უმნიშვნელობას ამ კომისიისას. ერთი დღე და კომისია, როგორ მოგწონთ!!! მერმე იმ გვარი საგნების გასარჩევად, როგორიც არის ბანკის წესდებულების ზოგიერთა პარაგრაფების შეცვლა! მართლაც, არა გაკეთდა-რა. ამ კომისიამ უფრო აამღვრია წყალი და ჯერ ჯერობით არაფერი განსაკუთრებითი საბუთიანი დასკვნა არ წარმოუდგენია.

კომისიამ უარი უთხრა ყველას, ვინც თხოულობდა შემწეობას ბანკის დანარჩენი მოგებისაგან, გარდა სამეურნეო საზოგადოებისა. აგრეთვე მოუსპო სტიპენდიები სტუდენტებსაც.

კრებაში დიდი ალიაქოთი მოახდინა ამ წინადადების გარჩევამ. ბევრი სიტყვები ითქვა, ბევრი ყაყანი იყო. დასასრულ ამ საშინელ ღელვას ბოლო მოეღო. ყველა პირ-დაღებული დარჩა, სტუდენტებს ხელი ჰკრეს, სამეურნეო საზოგადოებას კი მიეცა ათასი მანათი. კომისიის წინადადება დამტკიცდა. ძრიელ ვსწუხვართ.

აი აქ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი გაკვირვება და საყვედური, როგორც კომისიაზე, ისე კრებაზედაც. ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ საწყალი და ღარიბი სტუდენტები, რომელნიც ბანკის იმედით წასულან უმაღლესი სწავლის მისაღებად, ჩაჰყარეს გაჭირვებაში და სამეურნეო საზოგადოებას კი, რომელსაც არც სიღარიბე და არც სისაწყლე არ სწერებია, გარდა უნაყოფო შრომისა, მიეცა შემწეობა...

ვიცი ამაზე მეტყვიან: «ეგ ჩვენც ვიცით, ვისაც უჭირს, მაგრამ სადაც არა

---

აქვს ბ. გელოვანსაო—ბძანებთ. ნუთუ, ბ. ბოქაულო, არ გვაკმარე, როგორც დღეს თქვენის სიტყვებიდამ სჩანს, უკანონო გარდახდევინება, რომლის უფლება არ გქონია, და თან უარის ყოფაც დაამატე; ეს აღარც კი არის გასაკვირველი იმ კაცისათვის, რომელსაც ერთი ბოროტება ჩაუდენია, შემდეგ მისთვის მეორე და მესამეც გაადვილდეს; უარის ყოფა თქვენგან? ჩვენ არ ვყოფთ უარს. დამტკიცება და საბუთი ჩვენ ვართ მთელი მაზრა, ჩვენ, ყველასაგან დაჩაგრულნი. უმეცარს ხალხს ასე გვეგონა, ბ. ბოქაულო, რომ ეს კანონისაგან მონიჭებული უფლება გქონდათ და თავის სიმართლის და ღირსების აღსადგენად ამავე კანონს მოიყვანდით; ეხლა, როდესაც გამოჩნდა, რომ თქვენ უარის თქმით მოინდომეთ თავიდამ ამის გადავლება, ამისათვის იმედი გვაქვს, მმართებლობა მიაქცევს ამას ყურადღებას და არ დაგვაგდებს თქვენი გვარის კაცების ქისის მსხვერპლად, რომელშიაც ოც-და-ათ ვეცხლამდისაც ჩავა, «რომლისა არა ჯერ არს დადება სიწმინდესა, ვინაიდგან სასყიდელი სისხლისა არს».

აი ამ გვარის საქმეების მომქმედი ბატონები ზოგიერთების თვალში პატივისცემის, ერის ერთგულების და პატიოსანის სახელის ღირსნი ხდებიან. ეს იმისაგან წარმოსდგა, რომ ამ გვარს კაცებზედ რწმენა და აზრი აქვსთ ზოგიერთ თვალ-საჩინო პირებს, რადგანაც ბ. წ—ძემ და მისმა თანა-მოაზრე კაცებმა სხვებს დაუწყეს დევნა,—აქაო და ესენი ბოროტებას ჩადიანო. ამით ვითომც თავიანთ თავი მკითხველ საზოგადოებას უმანკოდ და ერის მსარჩლელად დაგვიხატეს. ნამდვილი კი ასე გახლავს; ჩვენ, რასაკვირველია, არც იმის უარს მოვახსენებთ ბატონს წ—ძეს, რომ მათგან დევნულნი კეთილნი ბძანებულიყვნენ, მაგრამ ეს ძრიელ ცოტა საფუძველია მათის სიმართლისათვის და მეორეც—ეს ვინ არიან ის პირნი და პარტიის კაცნი? ის მხოლოდ ერთს პარტიაზედ ლაპარაკობს და იმ მეორე პარტიაზედ, რომლის მედროშე და წინამძღოლი თითონ ბძანდება—იმაზედ არას. ერთი კი არა, დ. ონში სცხოვრობს ორი პარტიის კაცნი. პირველმა მეორე შობა, ორივეს კი ჩვენი გატყავების სურვილი ჰქონდა, მაგრამ რა რიგად, ეს თვითეულის მათგანის სურვილი იყო, ჩვენ საზიარო ლუკმად არ გავეხადეთ და ერთს მეორისაგან უნაწილოდ ჩავეკვრიხეთ. მაინც ასე მოხდა: ერთმა მეორე დაამარცხა და ჩვენ ჯერ-ჯერობით ამათს საკუთარს ლუკმას შევადგენთ: გინდ მგელი, გინდ მგლის ფერი ძაღლიო...

მხოლოდ ღმერთია მოწამე და განმხილავი—თუ რამდენი კაცი გასუქებულა საბრალო რაჭველი მუშა-ხალხის ოფლით, შეგროვილი გროშებით. ნეტავი, გახსოვდეთ, ბ. წ—ძე, თუ რამდენის მოთმინებით, შიმშილ-წყურვილით და თან ცოლ-შვილის განშორებით, თავ-შეკავებულობით მოპოვებული ფული წილ-ხდომილზედ მეტი სხვა-და-სხვა ვითომ ხალხის მოყვარეთა ჯიბეში ჩაცოცებულა. მაგრამ... ეჰ! რას იზამ, რომ ყოველთვის და ყოველგან ვერ შეიძლებ ყველაფერი გამოააშკარავო და ქვეყნის ლაფი დაასხა თავზედ.

ზემო რაჭველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო რა, რა გვექნაო». თუ ასე იყო, სამეურნეო საზოგადოებას უარს ვეტყოდი და სტუდენტებს კი არ წავართმევდი ორიოდე გროშს.

ა. ა.

## სამართალი.

(თბილისის სამოსამართლო პალატა).

გუშინ-წინ, ივნისის 7-ს, დაიწყო თბილისის სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევა თავ. სიდომონ-ერისთავისა, გასპაროვისა, დიდებულიძისა და მარმაჩევისა, რომელთაც ბრალდებათ: პირველს—ამიერ-კავკასიის საქალო ინსტიტუტის ფულების შემოხარჯვა, ანგარიშთა უკანონო წარმოება და თვისი უფლების გადაჭარბება; ხოლო დანარჩენთ—ანგარიშთა უკანონო წარმოება, თვისი თანამდებობის დაუდევრად მოკიდება და სხ. ეს პირნი ხსენებულს ინსტიტუტში იყვნენ წინად სამსახურში: ერისთავი იყო ინსტიტუტის რჩევის წევრად და საოჯახო ნაწილის გამგედ, დიდებულიძე რჩევის სეკრეტრად, გასპაროვი ხაზინადრად და მარმაჩევიც ხაზინადრად შემდეგ გასპაროვის სხვა სამსახურში გადასვლისა. სხდომის თავმჯდომარედ არის პალატის წევრი ბ. მიხაილოვი, ხოლო მსაჯულებად: ბ.ბ. ბაკალო და მალინოვსკი და სეკრეტრად ბ. მღებროვი; ბრალსა სდებს პროკურორის ამხანაგი ბ. სმიტენი. ბრალდებულთა მცველებად არიან: თავ. ერისთვისა—ბ. პოლტარაცკი, გასპაროვისა—ბ. რეიტერი, დიდებულიძისა ბ. ორლოვსკი და მარმაჩევისაც ბ. ოპოჩინინი. შემოხარჯული ფულის მოდავის მხრივ არის ნაფიცი ვექილი ბ. იურკევიჩი. მოწმებად იყვნენ მოწვეულნი: ინსტიტუტის უფროსი ქ.-ბ. პოლიბიაკინისა, წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროსი ქ.-ბ. ნიკიფოროვისა, ინსტიტუტის რჩევის წევრი ბ. მილერი, გამგე ამავე ინსტიტუტის საოჯახო ნაწილისა ბ. მულინი, ეკონომი შარი, კანცელიარიის ჩინვნიკი ვარგანოვი და მმართველი სამასწავლებლო ოლქის უფროსის კანცელიარიისა ბ. სოკოლოვსკი.

შემდეგ ფორმალური წესების ასრულებისა და ბრალდებულთა ვინაობის გამოკითხვისა, მოწამენი დააფიცეს და ცალკე ოთახში გაიყვანეს, რის შემდეგაც თავ. ერისთვის მცველმა, ბ. პოლტრაცკიმ, სთხოვა პალატას ექსპერტიზის დანიშვნა იმ ანგარიშის წიგნების შესამოწმებლად, რომელნიც პალატაში არიან წარმოდგენილნი, როგორც ნივთიერებითნი საბუთნი; მაგრამ პალატამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და შეუდგა მოწმების კითხვას.

გუშინ გათავდა მოწმების კითხვა და დოკუმენტების წაკითხვა; პროკურორის ამხანაგმა და აგრეთვე ბ. იურკევიჩმა წარმოსთქვეს თავიანთი სიტყვები და ამით გათავდა გუშინდელი სხდომა.

## უცხოეთი.

**საფრანგეთი.** პარიჟის სენატს მთელი ოთხი დღე მოუნდომებია ნაქესმიერ წარდგენილს კანონ-პროექტზე ბაასისთვის ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ და ბოლოს 160 ხმის უმრავლესობით 118-ის წინააღმდეგ საქმე კანონ-პროექტის სასარგებლოდ გადაუწყვეტია.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საქმე ახალი არ არის ფრანცუზებისთვის. ფრანცუზების დაწინაურებულნი წრენი დიდი ხანია გრძნობენ ამ კანონის საჭიროებას და თითქმის ასი წელიწადია, რაც ამ საგანზე ლაპარაკია საფრანგეთში. 1803 წელს კიდეც გამოსცეს კანონი, რომლითაც მიენიჭა ცოლ-ქმართ უფლება ერთმანეთის გაყრისა, მაგრამ 1816 წელს ეს კანონი ისევ გააუქმეს და მის მაგივრად დაადგინეს სხვა კანონი, რომელმაც სარწმუნოების წინააღმდეგად აღიარა ცოლ-ქმართა გაყრა და ამისთვის აკრძალა იგი. უკანასკნელი კანონი აქამდინ არსებობდა და ეხლა კი ნაქეს წინადადების წყალობით ბოლო მოეღო მას.

სენატს მიუღია პროექტის პირველი მუხლი, რომელიც ამბობს: „მაისის 8-ს 1816 წ. გამოცემული კანონი უქმდება“, და ამ გვარად ისევ აღუდგენია 1803 წლის კანონი ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ.

სენატის გარდაწყვეტილება დიდის სიხარულით მიუღია არამცთუ საფრანგეთს, არამედ მთელი ევროპის ლიბერალურ პრესასაც. გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის მცხოვრებლების უმეტესს ნაწილს მოეწონება ეს კანონი და დიდის სიამოვნებითაც მიიღებს მას, როგორც გონივრულს, დემოკრატიულს და სამართლიანს ცვლილებას, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის ნაანდერძების განახლებას.

თუმცა ამ კანონის აღდგენა მთლად ალფრედ ნაქეს საქმეა, რომელმაც აღძრა სენატში ეს აზრი და ჩინებულადაც დაიცვა იგი თვისი მჭევრმეტყველი სიტყვებით, მაგრამ მასზე ნაკლები ღვაწლი არც ნიჭიერს ორატორს ემილ ლაბიშს გაუწევია ამ საქმისათვის. პატივცემულს ორატორს მოხდომია ბაასი იმისთანა წარჩინებულ მოწინააღმდეგეებთან, როგორნიც არიან ალლუ და ჟულ სიმონი, რომელთათვისაც იმას ყოველ-მხრივ უჯობნებია და ყოველი მათგან გამოთქმული აზრი ჩინებულად დაურღვევია.

ცოლ-ქმართა გაყრის კანონის ორივე მოწინააღმდეგენი ამტკიცებდენ თურმე, რომ ამ კანონის აღდგენა გააძლიერებს ცოლ-ქმართა შორის განხეთქილებას, შფოთს და ჩხუბსაო. ამ აზრის დასარღვევლად ლაბიშმა მოიყვანა ისეთი მაგალითები, რომელნიც სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებდენ. ალლუ და ჟულ სიმონი მაინც თავისას ლაპარაკობდენ და სხვათაშორის ამბობდენ თურმე, რომ ცოლ-ქმართა გაყრა ძალიან იშვიათია საქსონიის მოდგმის ხალხთა და პროტესტანტთა შორის. მაგრამ ეს მაგალითი უფრო ამტყუნებს მათს აზრებს, ვიდრე ამართლებს, რადგანაც პროტესტანტური სარწმუნოება ნებას აძლევს ცოლ-ქმართ გაყრისას და ამ მოვლენას არავითარი მავნე გავლენა არა აქვს პროტესტანტების ზნეობაზე. ლაბიშმა, რასაკვირველია, მიაქცია თვის მოწინააღმდეგეთა ყურადღება ამ მოვლენაზე და სხვათა შორის მიუთითა ბელგიაზედაც, როგორც კათოლიკე სარწმუნოების აღმასრულებელ ქვეყანაზე, და სთქვა, რომ თუმცა აქ ცოლ-ქმართა გაყრა ნება-დართულია, მაგრამ ძლიერ იშვიათია, რომ ცოლ-ქმარნი იყრებოდენო. ლაბიშის სიტყვით, თვით საფრანგეთის სტატისტიკაც 1803 წლიდგან მოყოლებული 1816 წლამდინ არ ამტკიცებს, რომ ამ დროს განმავლობაში გაყრილ ცოლ-ქმართა რიცხვი გამრავლებული ყოს.

შემდეგ ალლუს და ჟულ სიმონს დაუხატავთ გაყრილ ცოლ-ქმართა მდგომარეობა, როდესაც ისინი ცხოვრების გზაზე კიდევ შეეყრებიან ერთმანეთს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთს რომელიმე მათგანს ახალი ოჯახობა ეყოლება. ორატორების აზრით, გაყრილ ცოლ-ქმართა მდგომარეობა მეტად კომიკური იქნება, როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიანო. მაგრამ ლაბიშმა აქაც გაიმარჯვა და ნათლად დაუმტკიცა, რომ აქ არც კომიკური და არც ტრაგიკული არაფერიაო.

ამის შემდეგ, ლაბიშს დაუწყვია მტკიცება, რომ საფრანგეთის ხალხსაც ისევე შეუძლიან შეითვისოს ეს კანონი, როგორადაც აქვთ შეთვისებული გერმანიის, ინგლისის, ჰოლანდიის და ბელგიის ხალხთა და სხვათა შორის უთქვამს შემდეგი: „თქვენ ცილსა სწამებთ საფრანგეთის დედა-კაცებსა, როდესაც ჰფიქრობთ, ვითომც იმათ სრულიად უმიზეზოდ, მარტო უბრალო უხიაკობისა გამო, შეეძლოთ დატოვება ყველა იმისა, რითაც არიან იგინი დიდებულნი, პატივცემულნი და ბედნიერნი (ბრავო კარგია!) რისთვის ჰფიქრობთ თქვენ, რომ ლათინის მოდგმის დედა-კაცი ისე ვერ დაიჭერს თავს, როგორც სხვა მოდგმისა თქვენ აშორებთ საფრანგეთს მთელს კაცობრიობას, თქვენ შიშის ძრწოლითა მკითხავთ—რა მოუვა ზნეობას და ოჯახობასაო? მაგრამ განა საზღვარგარედ არ არსებობს ზნეობა და ოჯახობა? იქაც ხომ წესად არის დადებული ცოლ-ქმართა გაყრა! მაშასადამე, თქვენის აზრით, საფრანგეთის ხალხი ისეთი თვისებისაა, რომ არ უნდა ჰქონდეს ეს დაწესებულება? მაგრამ ოდესმე პოლიტიკური თავისუფლების შესახებაც ხომ ამასვე ამბობდენ“!

შემდეგ ორატორმა დაარღვია ის აზრი, ვითომც იმ ქვეყნების ხალხი, სადაც ცოლ-ქმართა გაყრა არსებობს, არ მოსწონდეთ ეს კანონი და ეტყობოდეთ მისი მოსპობის სურვილი. მასუკან დაამტკიცა, რომ 1816 წ. კანონი პოლიტიკური კანონია და მისი გაუქმება არის ლოგიკური შედეგი იმ ფაქტისა, რომ კათოლიკე სარწმუნოება არ არის სახელმწიფოებრივი სარწმუნოება.

ჟულ სიმონი, სხვათა შორის, ამტკიცებდა თურმე, რომ ცოლ-ქმართა გაყრის კანონი დედა-კაცების წინააღმდეგ იქნება მიმართულიო. ეს აზრიც ჩინებულად დაურღვევია ლაბიშს და სტატისტიკურად დაუმტკიცებია, რომ 1,000 შემთხვევა ცოლ-ქმართა გაყრისა, 895 დედა-კაცის თხოვნით მომხდარა; აქედამ ცხადიაო, უთქვამს ორატორს, რომ აქ დედა-კაცი არ არის დაბრიყვებული და უმეტეს ნაწილად მისი სურვილით ხდება გაყრაო.

დასასრულ, ლაბიშს მიუმართავს სენატორებისთვის და უთქვამს, რომ თუ უარ-ჰყოფთ ცოლ-ქმართა გაყრას და არ გააუქმებთ სარწმუნოებრივი რეაქციის დროს დადგენილს კანონს, მაშინ მთელს ევროპაში მარტო საფრანგეთი და ესპანია-ღა დარჩებიან, რომელთაც არ ექნება მიღებული ეს კანონი, რადგან იტალიაც კი აპირობს ამ კანონის მიღებასაო.

კენჭის ყრის წინად დაუწყვია ბაასი ვილაც ვიკონტს ლორჟელირს, რომელის სიტყვასაც დიდი სიცილი გამოუწვევია სენატში; ამისათვის, ვგონებთ, უადგილო არ იყოს მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს ბ. ლორჟელირის სიტყვა.

ვიკონტს პირველად გამოუცხადებია, რომ ის წინააღმდეგია ცოლ-ქმართა გაყრისა, რა სახითაც უნდა იყოს იგი. შემდეგ მოუყვანია მაგალითი, რომ რომის დედა-კაცები რვა-ჯერა თხოვდებოდენ ხოლმე და ერთს მათგანს 22 ქმარი ჰყოლია (საზოგადო სიცილი); როდესაც მე-21 ქმარი დაუმარხავს, კიდევ დაუწყვია ძებნა შესასაფერი მეუღლისა და ბოლოს უპოვნია ისეთი კაცი, რომელიც ოც-ჯერა ყოფილა დაქორწილებული (კიდევ სიცილი). მასუკან ვიკონტს უამბნია სენატისთვის, რომ ეს გმირნი დაქორწინდენ, დიდის ამბით გადაიხადეს ქორწილი და დიდად საინტერესონი შეიქმნენ სენატისთვისაც და მთელი რომისთვისაცაო. ყოველ-დღე შიშით ეკითხებოდენ ერთმანეთს რომაელნი—პირველად რომელი მოკვდებაო. «და პირველად დედა-კაცი მოკვდა» (ხარხარი). მაშინ სენატმა გადასწყვიტა, რომ ეს შესანიშნავი დედა-კაცი სახელმწიფო ხარჯით დამარხულიყო და ხალხი ყვავილებით და ვარდებით გაჰყოლოდა მისს კუბოს (სიცილი). ვიკონტმა ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა: „ცოლ-ქმართა გაყრა უნდა დაადგინონ იმიტომ, რომ შეამცირონ რიცხვი ქორწინებისა გარეშე შობილ ყრმათა. მაგრამ, უეჭველია, თქვენ არ დაუშლით დედა-კაცებს მომხიბლელ თვისებებზე ფიქრს და თვის მალმერთებელთა ყურის-გდებას, როგორადაც არ დაუშლით მათ თაყვანისმცემლებს იმას, რომ აძლიონ მათ ფიცი, რომელსაც

იგინი არარილ არ ასრულებენ (სიცილი.)

შემდეგ რამოდენიმე ორატორის ბაასისა, სენატი შეუდგა კენჭის ყრას, რომლის შედეგიც უკვე იცის მკითხველმა.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ივნისის 7-ს.

**ოდესა.** ამბავი მოვიდა, რომ ბაღდადში კაცის ჭირი გაჩნდა.

ადგილობრივი კარანტინის მთავრობა განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ამ გემებს, რომელნიც ეგვიპტის პორტებიდამ მოდიან.

**ბერლინი.** ბისმარკს დიდხან გრძელი თათბირი ჰქონდა რუსეთის ელჩითან, თავ. ორლოვთან.

**პარიჟი.** კამბოჯიას სამეფოსთან დასდევს ხელ-შეკრულობა, რომელიც გამოების უმთავრეს თანამდებობათა ანიჭებს ფრანცუზებს, სპარსის მარაბას და გადაწყვეტილს ჯამაგირს უნიშნავს მეფეს და მის ოჯახობას.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთმა გაუგზავნა დიდ სახელმწიფოთ წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საჭიროა ეგვიპტიდამ ინგლისის ჯარები გამოვიდეს და წინადადებას აძლევს ან სულ ოსმალეთის ჯარებით დაიკავონ ეგვიპტეში, ან არა და ოსმალეთის ჯარებთან ერთად ინგლისის, საფრანგეთისა, იტალიისა და ესპანიის ჯარებიცაო.

ივნისის 8-ს

**პეტერბურგი.** «ს. პეტერბურგს უწყებანი» ამბობენ, რომ ამ დღეებში უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო რჩევის აზრი სამხედრო სასამართლოში—სამედმო სახლების გაუქმების შესახებ და ამ გვარ სახლებში დამწყვდევის მაგივრად ციხეებში დატუსაღების შესახებ იმ ვადით, რა ვადაც ნაჩვენები იქნება «დასჯათა დებულებაში.»

„ნოვოე ვრემია" გვატყობინებს, რომ გზათა მინისტრის მოხსენების განხილვა მინისტრთა კომიტეტის მიერ ციმბირის რკინის გზის მიმართულების შესახებ გადადებულ იქმნა შემოდგომამდე.

**ლონდონი.** სტენგოპმა იკითხა საზოგადოებათა პალატაში, მიღებულია თუ არა ოფიციალური მოხსენება რუსის ჯარის რაოდენობის შესახებ ავგანისტანის სამზღვრებზედ. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კროსმა უპასუხა, რომ ინდოეთის მთავრობა თვალყურს ადევნებს ყველაფერს, რაც კი მაგ სამზღვრებს შეეხებაო; ხან-და-ხან მივიღებთ ხოლმე ცნობას რუსის ჯარის შესახებ ავგანისტანის ახლოს, მაგრამ ოფიციალური მოხსენება კი არ მიგვიღია და ყოველ შემთხვევაში მაგ გვარ ცნობათა გარდაცემას პარლამენტისათვის მთავრობა სახემწიფო ინტერესების წინაალმდეგათა სთვლისო.

# განცხადებანი


### მთაწმინდის მეიდანზედ

ზემოთ ეტაჟაში მჟედლოვის სახლისა № 26 იძლევა **ქირით. არის ხუთი ოთახი,** კუხნით და სხ. ფასის შეტყობა შეიძლება იქვე.

(4—1)

### მირზაშვილის მოსამზადებელი სკოლა.

ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში სწავლა წარმოებს მთელი ზაფხულის განმავლობაში და ვისაც სურს ყმაწვილის მომზადება, უნდა შემოიყვანოს მხოლოდ 15 თიბათვემდინ.

ადრესი: ობშჩესტვენის ქუჩა, გრიგოლ აბესალომოვის სახლებში.

ალექსანდრე მირზაშვილი.

(5—3)

### ინგლისური რკინის პრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფრჩეკები, უჩაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩუსქები, წინდები, საფერები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღებას მიაქციეთ.

(100—18)

### ივერიის რედაქციისაგან

მიიღება ჯერ კიდევ ხელის-მოწერა ჟურნალს

## „ივერიაზე"

ფასი მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. რამდენიმე სრული ეგზემპლიარი წარსულის წლის „ივერიისა" უკვე გაიყიდა და მისათვის მისი დაბარება აღარ შეიძლება.

(10—8)

### დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

# საქართველოს მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქართველოს უმთავრეს ქალაქებში.

(3—3)

### საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, პატრონპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შნოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი პატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ.

(100—98)


### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივნისიდამ 15 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— — | 1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— — | 1 | გ. | 2½ |
| მეორისა— — — | 1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის — | 1 | გ. | 4½ |
| მეორისა— — — | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — — | 1 | გ. | 2½ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა — — — | 1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა — | 1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — — | 1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . — | 1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი — | 1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა — | 1 | გ. | — კ. |
| მეორისა — — — | 1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Іюня 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.